სსიპ ბორჯომის მუნიციპალიტეტის ქ. ბორჯომში რობაქიძის ქუჩის #1-5საკანალიზაციო ქსელის ნაწილობრივი სარეაბილიტაციოსამუშაოების განმარტებითი ბარათი

სსიპ ბორჯომის მუნიციპალიტეტის ქ. ბორჯომში რობაქიძის ქუჩის #1-5 საკანალიზაციო ქსელის ნაწილობრივი სარეაბილიტაციო სამუშაოებისსახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია შედგენილიასსიპ ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის დაკვეთით (ხელშეკრულების #127. 24 აპრილი 2018წელი,) დამუშავებული პროექტის მუშა ნახაზების საფუძველზე, რესურსული მეთოდით, საქართველოში მოქმედი „სამშენებლო ნორმების და წესების“ მიხედვით, მშენებლობის შემფასებელთა კავშირის მიერ გამოცემულისამშენებლო რესურსების ფასებით, 2018 წლის IIკვარტალის დონეზე.

ქ. ბორჯომში რობაქიძის ქუჩის #1-5 საპროექტო დოკუმენტაციით გათვალისწინებულია სარეაბილიტაციო საკანალიზაციო ქსელის ნაწილობრივი სამშენებლო სამუშაოები, რომელებიც მოიცავს:

1. საპროექტო საკანალიზაციო ქსელის ტრანშეის და საკანალიზაციო ჭების მოწყობის მიწის სამუშაოებს ხელით
2. რკინაბეტონის ანაკრები საკანალიზაციო ჭების მოწყობას არმირებული მონოლითური ბეტონის ფილაზე, ღორღის ფენაზე სისქით 10სმ
3. საკანალიზაციო გოფრირებული მილების ქვემოდან და ზემოდან ქვიშის ბალიშის მოწყობას სისქით 10სმ
4. საკანალიზაციო ქსელის მოწყობას გოფრირებული საკანალიზაციო მილებისაგან დიამეტრით 200მმ SN-8და 150მმSN-8
5. გრუნტის უკუჩაყრას ხელით ტრანშეაში თანმიმდევრული დატკეპვნით
6. ზედმეტი გრუნტის ტრანსპორტირებას 15კმ-ზე
7. საპროექტო საკანალიზაციო ქსელის შეჭრას არსებულ საკანალიზაციო ქსელში

სამშენებლო სამუშაოების სავარაუდო ღირებულების დასადგენად ზედნადები ხარჯებისა და გეგმიური მოგება განისაზღვრა „სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმიური მოგების განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის #55 დადგენილების საფუძველზე.

სარეაბილიტაციო სამუშაოების ხარჯთაღრიცხვით განსაზღვრულია მასალების ტრანსპორტირების ხარჯი მასალების ჯამური ღირებულების 5%-ის ოდენობით.

ხარჯთაღრიცხვით განსაზღვრულია გაუთვალისწინებელი ხარჯი5%-ის ოდენობით პირდაპირი ხარჯების, ზედნადები ხარჯების, გეგმიური მოგების და მასალათა ტრანსპორტირების ხარჯების ჯამიდან.

სარეაბილიტაციო სამუშაოების ხარჯთაღრიცხვით განსაზღვრულია საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დამატებითი ღირებულების გადასახადი 18%-ის ოდენობით.
სარეაბილიტაციო სამუსაოების ხარჯთაღრიცხვით განსაზღვრულია შესრულებული სამუშაოების საექსპერტო მომსახურების ხარჯები 2,8%-ის ოდენობით.
ჯანმრთელობის, შრომის უსაფრთხოების და გარემოს დაცვის რეკომენდაცია სავალდებულოა.